ამხანაგობა „შენი სახლი კიკვიძის ბაღთან“
თავმჯდომარის ნუცა ჩადუნელის
მობ: 505054405
მაილი: nutsa.chaduneli.cmg@gmail.com

განცხადება

გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩა N29-ში განთავსებულ საცხოვრებელი კომლექსში მდებარეობს შვიდი საცხოვრებელი კორპუსი, (საკადასტრო კოდებით #01.12.12.003.078. #01.12.12.003.093 #01.12.12.003.094) ათასზე მეტი მობინადრე ცხოვრობს 407 ერთეულ ბინაში, კომპლექსში განთავსებულია ათობით ავტოსადგომი და კეთილმოწყობილია ეზო.

დამეთანხმებით, რომ ქალაქის ცენტრში განთავსებულ მაშტაბურ საცხოვრებელ კომპლექსის მართვა, მოვლა პატრონობა მოითხოვს განსაკუთრებულ ორგანიზებას და წესრიგს.

მიუხედავად მოსახლეობის ძალისხმევისა, რომ მოწესრიგებულიყო განსაკუთრებით ა/მანქანების მიმოსვლა და პარკირება საერთო სარგებლობის სივრცეში - გვხდება ხელშეშლა რიგი მობინადრეების მრიდან, ჩვენს მიერ მოწყობილი იქნა „ბოძკინტები“ თუმცა მერიის წარმომადგენელმა (მობ.591073943) დაგვავალა მისი დემონტაჟი და მოითხოვა მობინადრეთა უმრავლესობის წერილობითი თანხმობა მის მოსაწყობად.

2025 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ამხანაგობა „შენი სახლი კიკვიძის ბაღთან“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმოწერებით დაადასტურა მობინადრეთა 2/3 მა, მხარი დაუჭირა თანდართული გეგმით საერთო სარგებლობის სივრცეში ბოძგინტების მოწყობას.

მ/წ 07 ივნისს ჩატარებულ განმეორებით კრებაზე მოსახლეობის კიდევ ერთხელ გამოხატა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დასახული იქნა გზები პრობლემის მოსაგვარებლად.

გაცნობებთ, რომ მობინადრეებს ამ ხნის განმავლობაში შეექმნათ რიგი პრობლემები, კერძოდ ერთ-ერთმა მობინადრემდე ვერ შეძლო სასწრაფო სამედიცინო ა/მანქანამ მისვლა, ვინაიდან ეზოში ჩახერგილი იყო მანქანები და ბავშვის ხელით გაყვანა მოუწიათ, ვერ შემოვიდა სახანძრო სამაშველო ბრიგადა შემთხვევის ადგილზე, ასევე განსაკუთრებით საყურადღებოა საცხოვრებელი კომპლექსში შემოსასვლელი სამანქანო გზის (ჭყონდიდელის) ხშირი პარალიზების ფაქტი, ვინაიდან ეზოში შემოსასვლელში არასწორად პარკირებული მანქანები აფერხებს შემოსვლას რაც იწვევს მთავარ ქუჩაზე საცობს.

წარმოგიდგენთ კრების ოქმებს და ნახაზს როგორ გავქვს სურვილი საერთო სარგებლობის სივრცეში მოეწყოს „ბოძგინტები“, დაცვის ჯიხური, შლაგბაუმი და საგზაო ნიშნები.

გთხოვთ თქვენს მყისიერ რიაგირებას და თანხმობას რათა წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად დამყარდეს წესრიგი. ამასთან გთხოვთ გატარდეს გარკვეული პრევენცია და

უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი კანონის შესაბამისად დარღვევთათვის შესაბამისი ღონისძიების გატარება.

დანართი, კრები ოქმები და ნახაზი #2.

ამხანაგობა „შენი სახლი კიკვიძის ბაღთან“
თავმჯდომარე ნუცა ჩადუნელი